იქნა 8 საქმეთა ნომენკლატურა, ასევე ინსტრუქციები, დებულებები და პირადი წარმოშობის 92 ს/ერთეული.

10. **საარქივო სამმართველოში მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავება სახელშეკრულებო საწყისებზე არ ხორციელდება, რადგან განყოფილების სპეციალისტები ღებულობენ შტატით გათვალისწინებულ სახელფასო სარგოებს.**

2019 წლის საარქივო სამმართველოს დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სპეციალისტების მიერ **მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავდა 35** დაწესებულება-ორგანიზაციის 18457 საქმე და 3 პირადი წარმოშობის ფონდის 92 საქმე, მათ შორის მუდმივად შესანახი 2371საქმე, ხანგრძლივად შესანახი 1142 საქმე, დროებითად შესანახი 1669 საქმე, მაკულატურაში გამოიყო 13259 საქმეთა ერთეული. დაწესებულება-ორგანიზაციის საარქივო დოკუმენტების დამუშავება მიმდინარეობდა გეგმის გათვალისწინებით. ასევე დამუშავების თანამშრომლების მიერ შემუშავდა საქმისწარმოების ნორმატიული დოკუმენტები: სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურები, დებულებები, საქმისწარმოების ინსტრუქციები.(იხილეთ დანართი III.10.ა).

IV – დოკუმენტების გამოყენება

11. . **შეკითხვების შესრულება**

2019 წელს შემოვიდა სოციალურ-უფლებრივი ხასიათის სულ 1122 შეკითხვა, აქედან დადებითი პასუხი გაეცა 926 შეკითხვას, უარყოფითი 196 -ს. შემოვიდა ორგანიზაცია- დაწესებულებებიდან სულ 1942 მომართვა. აქედან დადებითი 1277, უარყოფითი 764. სულ ბიუჯეტში ჩაირიცხა 24 499 ლარი.

მათ შორის **საარქივო სამმართველოში** 2019 წელს შემოვიდა სულ 332 სოციალურ-უფლებრივი ხასიათის მოქალაქეთა განცხადება, **194 განცხადებაზე** გაიცა დადებითი პასუხი. უარყოფითი პასუხი გაიცა 138 განცხადებაზე. შემოვიდა სულ ორგანიზაცია დაწესებულებებიდან სულ **593 მომართვა** გაიცა დადებითი პასუხი 245 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 348 -ზე. საარქივო მომსახურეობიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 7389 ლაარი

ქობულეთის არქივში შემოვიდა სულ 379 **შეკითხვა,** დადებითი პასუხი გაეცა 345 -ს, უარყოფითი 34-ს. შემოვიდა ორგანიზაცია დაწესებულებებიდან სულ 412 **მომართვა.** გაიცა დადებითი პასუხი 298 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 114-ზე. ბიუჯეტში ჩაირიცხა –7196 ლარი.

ხელვაჩაურის არქივში შემოვიდა სულ **236 შეკითხვა,** დადებითი პასუხი გაეცა 222 შეკითხვას, უარყოფითი 14–ს, შემოვიდა ორგანიზაცია დაწესებულებებიდან სულ 427 **მომართვა,** გაიცა დადებითი პასუხი 345 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 82 -ზე. ბიუჯეტში ჩაირიცხა 6176 ლარი.

ქედის არქივში შემოვიდა სულ-32 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა – 30-ს, უარყოფითი 2 პასუხი. შემოვიდა ორგანიზაცია დაწესებულებებიდან სულ 153 მომართვა. გაიცა დადებითი პასუხი 120 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 33-ზე.. ბიუჯეტში ჩაირიცხა 972– ლარი.

შუახევის არქივში შემოვიდა სულ 49 **შეკითხვა,** დადებითი პასუხი გაეცა 42, უარყოფითი 7. შემოვიდა ორგანიზაცია დაწესებულებებიდან სულ **178 მომართვა** გაიცა დადებითი 44 პასუხი მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 134-ზე.. ბიუჯეტში ჩაირიცხა 637 ლარი.

ხულოს არქივში შემოვიდა სულ – 94 **შეკითხვა,** დადებითი პასუხი გაეცა 93 შეკითხვას, უარყოფითი – 1. შემოვიდა ორგანიზაცია დაწესებულებებიდან სულ 179 **მომართვა** გაიცა დადებითი პასუხი 126 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 53 მომართვაზე. ბიუჯეტში ჩაირიცხა –2069 ლარი.

12. დოკუმენტების გამოფენის ორგანიზება.

2019 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მოეწყო 11 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 გამოფენისა, გეგმა შესრულდა 110%-ით. აქედან საარქივო სამმართველოში 4 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 გამოფენისა და გეგმა შესრულდა 133 %-ით.

1. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და ღვაწლი - პრეზენტაცია საარქივო სამმართველოში 2019 წ. 29 იანვარი
2. 9 აპრილი
3. როგორ აღნიშნავდნენ ფაშიზმზე გამარჯვებას საბჭოთა პერიოდის საქართველოში (2019 წ. 6-15 მაისი);
4. საქარველოს დამოუკიდებლობის ღისა და მ. კოსტავას დაბადების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა - 2019 წ. მაისი

ტერიტორიულ ორგანო ქობულეთის არქივში 1 გამოფენა, ხელვაჩაურის არქივში შესრულდა 2 გამოფენა, ქედის არქივში 1 გამოფენა, შუახევში 1 გამოფენა ხულოს არქივში 2 გამოფენა. თემაზე ფაშიტურ გერმანიაზე გამარჯვების და დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი - საარქივო დოკუმენტების გამოფენა.

მომზადდა საპრეზენტაციო
და სადემონსტრაციო მასალა:

1. საქართველოს მეჭურჭლეთუხუცსი - სლაიდშოუ;
2. საქართველოს დამოუკიდებლობის დისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი;
3. ვებგვერდისათვის გამოვლინდა საინტერესო დოკუმენტი - მოსე ჯანაშვილის ხელნაწერი (ფრ. ქარდავა);
4. ციკლიდან „ქუჩის მხატვრობა“ ნიჭიერი მხატვრების პოპულარიზაცია (ფ. ქარდავა, 15.04.19).

13. რადიო და ტელე გადაცემის მომზადება.

2019 წელს საარქივო სამმართველოში მომზადდა და რადიო-ტელევიზიით გადაიცა 6 გადაცემა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 გადაცემისა

ტვ-25. საიფორმაციო გადაცემა საარქივო სამმართველოში ჩატარებული ღონისძიების ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის „ შესახებ (2019 წ. 29 იანვარი;

2. ტვ-25. საიფორმაციო გადაცემა საარქივო სამმართველოში ჩატარებული ღონისძიების ,,არქივისტის დღის“ შესახებ (2019 წ. 1 მარტი);

3. აჭარის ტელევიზია. საიფორმაციო გადაცემა საარქივო სამმართველოში ჩატარებული ღონისძიების ,,არქივისტის დღის“ შესახებ (2019 წ. 1 მარტი);

4. აჭარის ტელევიზია. გადაცემა ,,დილის ტალღაში“ - ,,არქივისტის დღის“ შესახებ (2019 წ. 2 მარტი);

5. აჭარის ტელევიზია. გადაცემა ,,რადიოვიზიაში“ ,,არქივისტის დღის“ შესახებ (2019 წ. 1 მარტი);

6. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შესახებ (2019 წ. 5 დეკემბერი)ტვ-25.

14. სტატიების და დოკუმენტების მომზადება (პუბლიკაცია).

2019 წლის მონაცემებით მომზადდა და გამოქვეყნდა 11 სტატია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 სტატიისა: აქედან საარქივო სამმართველოში მომზადდა 6 სტატია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 სტატიისა. თითო სტატია მომზადდა ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს არქივის თანამშრომლების მიერ და გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესასა და ჟურნალ არხეიონში.

სამეცნიერო სტატიები:

1. თამაზ ფუტკარაძე, Поляки в борбе за независимость Грузии и развитие культурыю Balkanistichen forum. 2019, 2. Gv. 119-134.
2. ნატო ქიქავა, საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის საკითხები აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით, ჟურნალი ,,არხეიონი“, N 17, თბ. 2019;
3. თამაზ ფუტკარაძე, ,,აზერბაიჯანი ქართველი ეთნოლოგის თვალით“, ჟურნალი ,,არხეიონი“, N 17, თბ. 2019;
4. ელგუჯა ჩაგანავა, ,,ზოგი რამ დაზვერვის ისტორიიდან“, ჟურნალი ,,არხეიონი“, N 17, თბ. 2019;

5. გრ. ქარდავა, „მთაწმინდის კაცის წერილი“, ჟურნალი „არხეიონი“, N 17, თბ. 2019;
6. მზია კეკიეიშვილი, „1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ქობულეთი“, ჟურნალი „არხეიონი“, N 17, თბ. 2019.
7. თ. ფუტკარაძე, საქართველო აზერბაიჯანის საარქივო დოკუმენტებში, „არხეიონი“, N 17, თბ. 2020;
8. მაია რურუა, დოკუმენტები გვიამბობენ, „არხეიონი“, N 17, თბ. 2019.
9. ნ. ქიქავა, ზურაბ ხაბაძის პირადი ფონდი. „არხეიონი“, N 17, თბ. 2019. თამაზ ფუტკარაძე, Поляки в борбе за независимость Грузии и развитие культурыю Balkanistichen forum. 2019, 2. Gv. 119-134.

გამოიცა სამეცნიერო ჟურნალის „არხეიონი“-ს XVII – XVIII ნომერი. გამოსაცემად მომზადდა ბუკლეტი „აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში“.

განახლდა და ახალი, უფრო სრულყოფილი და მობილური სახე მიიღო სამმართველოს ვებ გვერდმა. სისტემატურად შუქდება სიახლეები და სხვა საინფორმაციო მასალები.

15. არქივში კონფერენციების, ექსკურსიების და გაკვეთილების ჩატარება.

სამმართველოში და მის ტერიტორიულ ორგანოს არქივებში სტუდენტებს და მოსწავლეებს ჩაუტარდა 24 ექსკურსია-გაკვეთილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 ექსკურსია-გაკვეთილისა.

ექსკურსია-გაკვეთილი ჩაუტარდათ:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩაუტარდათ ექსკურსია-გაკვეთილი დარბაზში მკვლევართა მუშაობის წესების შესახებ და ლექცია თემაზე „საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება 1928 წლიდან

სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსის“ ოფის-მენეჯერის სპეციალობის სტუდენტებს ჩაუტარდათ ლექცია-გაკვეთილი თემაზე: „დარბაზში მკვლევართა მუშაობის წესები“ აგრეთვე არქივს მნიშვნელობასა და აჭარაში საარქივო საქმის განვითარებაზე

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემა BPA-ის ოფის-მენეჯერის სპეციალობის მდივან-რეფერენტის მეოთხეე საფეხურის სტუდენტებს ჩაუტარდათ პრაქტიკული მეცადინეობა სამკითხველო დარბაზში მკვლევართა მუშაობის წესების შესახებ: მკვლევართა მომსახურების ღირებულების, მომსახურებაში შეღავათების გაწევის, განყოფილების მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების შესახებ.

ჩატარდა სხვა და სხვა ღონისძიებები:

2019 წელს მონაცემებით ჩატარდა 8 ღონისძიება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 ღონისძიებისა და გეგმა შესრულდა 120%-ით.

ჩატარდა:

1. საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი - 2019 წ. 29 იანვარი;
2. დედის და ქალთა - 2019 წ. 1 მარტი;

3. არქივისტის დღე - 2019 წ. 1 მარტი;
4. დამფუძვნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლისთავი - 12 მარტი;
5. ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. სტუმრად საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან, 3 ივნისი, 2019
6. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ხელვაჩაურში, 5 ივნისი, 2019
7. რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომია მე -11 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მემორიალის ყვავილებით შემკობა;
8. საახალწლო ღონისძიება (27 დეკემბერი, 2019)

ჩატარდა მე-9 საერთაშორისო კონფერენცია და გამოიცა კონფერენციის მასალების კრებული.

16. სამკითხველო დარბაზში მკვლევართა მუშაობის ორგანიზება.

სამკითხველო დარბაზი 2019 წელს მოემსახურა 31 მკვლევარს, რომელთა მომსახურეობის მიზნით მომზადდა, შეირჩა და მათ მიერ გამოყენებული იყო 215 საქმეთა ერთეული, – მკვლევარები მუშაობდნენ თემაზე:

1. ოთარ თურმანიძე - „ აჭარა 1878-2015 წწ.";
2. ოთარ გოგოლიშვილი, ემზარ მაკარაძე - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1879-1930 წწ. სოფლის მეურნეობის განვითარება";
3. ალლა პროზოროვა - „ციხისძირი, სააგარაკო შენობები XIX ს-ის ბოლოდან დღემდე, კვლევითი, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული სამუშაოები."
4. მერაბ მეგრელიშვილი - „აჭარა 1878-2015 წწ";
5. დონარი რიჟვაძე - „ N 1 საჯარო სკოლის ისტორია";
6. ზურაბ ნაგერვაძე - „მაჭახლის ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიური ასპექტები XVII-XX საუკუნეების მიჯნაზე;"
7. ჯუმბერ მოწყობილი- „ბათუმის განაშენიანება 1900-1950 წწ.";
8. თემურ ტუნაძე - „ცეკვა „განდაგანას"ისტორიის შესახებ მასალების მოძიება (1930-2000) წწ.";
9. გიორგი პატაშური - „ძველი ბათუმის შესახებ მასალების მოძიება 1890-1980 წწ.";
10. მამუკა საფარიძე, სლომე ჟორჟიკაშვილი - „ აჭარის რეგიონში მცხოვრებ ამერიკის მოქალაქეების შესახებ(1890-1950წწ) ";
11. ზაზა ხალვაში - „ ლაო ჯონ-ჯაოს მოღვაწეობა ბათუმში;"
12. ელენე იარალოვა - „ ტატიანა სევერინას, ოლგა და ნიკოლაი სახაროვების შესახებ მასალების მოძიება (1855-1906წწ)";
13. აკაკი ზოიძე - „ მემედ შერიფის ძე ტარიელაძე (1920-1937წწ); "
14. გიორგი გელაძე - „ძმები ნობელები, ძმები როტშილდები და ბათუმის სამშობიარო სახლი, XX საუკუნე";
15. ირაკლი ურუშაძე - „ ძველი ბათუმის შესახებ ფოტომასალის მოძიება 1900-1950 წწ ";
16. ხათუნა ხალვაში - „ კანცელარიზმების ფუნქციონირება და უნიფიცირებული საქმიანი დოკუმენტაციის თარგმნის თავისებურებები (ქართული და რუსული საქმიანი დოკუმენტების მაგალითზე)";
17. ნაილე ჩელებაძე - აჭარა 1878-2015 წწ-ში;
18. მიხეილ დიასამიძე - საქართველოს დიასამიძეები.

17. ჟურნალ „არხეიონის გამოცემა.

გამოიცა ჟურნალ „არხეიონის“ – XVII -XVIII ნომერი.

18 – თემატური ნუსხების მომზადება

1. 2019 წელს მომზადდა 3 თემატური ნუსხა - „სახანძრო სამსახურის განვითარება ბათუმში 1881-1921 წწ.“ (ფ. ქარდავა, ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე);
2. „არქივის ფონდებში დაცული ფოტოდოკუმენტები“ ფ. ქარდავა, ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე);
3. „ბერძნები აჭარაში“ (ფ. ქარდავა, ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე.)

19 – საინიციატივო ინფორმაცია.

ასევე მიმდინარეობს მუშაობა ლეონიდე ქიქოძის შესახებ მასალების მოსაძიებლად.

თემატურ მომართვებზე პასუხის მომზადება-გაცემა:

2019 წელს პასუხი გაეცა 3 თემატურ მომართვას:

1. პასუხი გაეცა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოდან შემოსულ მომართვას სახემწიფო ბანკის შენობის ისტორიის შესახებ (ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე, ფრ. ქარდავა, 14. 02.)
2. პასუხი გაეცა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შემოსულ მომართვას უნივერსიტეტის წესდების შესახებ (ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე, ფრ. ქარდავა, 25 02.);
3. პასუხი გაეცა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შემოსულ მომართვას უნივერსიტეტის წესდების შესახებ (ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე, ფქარდავა 11. 03.)

20. დოკუმენტების ციფრულ მატარებლებზე გადატანა.

საარქივო სამმართველოში შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილების მიერ, რომელიც ქაღალდსაფუძვლიანი დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადატანის უზრუნველყოფით არის დაკავებული 2019 წლის მონაცემებით შესრულდა 21 ფონდის და გაციფრა დასკანირდა 22699 საქმის, 2.374478 გვერდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.000105 გვერდისა და გეგმა შესრულდა 118 %-ით.

დარედაქტირდა 22699 საქმის 2.374478 გვერდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.000105 გვერდისა და გეგმა შესრულდა 118%-ით.

პროგრამაში ატვირთულია 4 ფონდის, 11 აღწერის 8684 ს/ერთეული - მისი ანოტაციებით.

21. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.

საარქივო დარგის სრულყოფისათვის, საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივების (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიზნით, 2019 წელს

განხორციელდა 407235 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები, რაც წლიური გეგმის 98.7% -ს შეადგენს.

გამოცხადდა 275606 ლარის ღირებულების 7 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გაფორმდა ხელშეკრულებები: დაცვის, ინტერნეტმომსახურეობის, კომპიუტერული მოწყობილობის, საკანცელარიო საქონლის, სარემონტო სამუსაოების შესყიდვაზე, სერვისების შესყიდვასთან დაკავშირებით და სხვა. თანხობრივმა ჯამმა შეადგინა 272174 ლარი. ჩატარებული ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 3431 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის 9 ხელშეკრულება, თანხით 17460 ლარზე. შესყიდული იქნა ბენზინისა და დიზელის საწვავი, კომპიუტერული მოწყობილობები: ლეპტოპი, საკომუნიკაციო მომსახურეობა, საბეჭდი ქაღალდები, საბურავები, კვების უწყვეტი წყარო და სხვა.

გაფორმდა 117600 ლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. შესყიდული იქნა: სატელეკომუნიკაციო მომსახურება, პროგრამა ,,კოდექსის" ინსტალაცია, გამანათებელი მოწყობილობები, ელექტრო, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელი. საბუღალტრო შესყიდვების პროგრამული ტრანსპორტის ტექნიკური, აუდიტორული, დაცვის მომსახურეობა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურეობა, ხარნძარსაწინააღმდეგო საშუალებების ტექნიკური მომსახურეობა, აუდიტური მომსახურეობა. დასრულდა საცავების სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვა.

სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი

2019 წ. დეკემბერი